საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან

PERMANENT MISSION OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS

6105-19-3-201902080101

№ 6105-19
08/02/2019

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ **დავით ზალკალიანს**

ასლი: საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ლაშა დარსალიას**

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ხათუნა თოთლაძეს**

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ **მიხეილ ნინუას**

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის
დირექტორს ბატონ **შალვა ცისკარაშვილს**

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 11-22 მარტს ქ. ნიუ-იორკში იმართება **გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესია (CSW63)**. როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული კომისია გახლავთ გაერო-ს ძირითადი მთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც მუშაობს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე. ქალთა სტატუსის კომისიის სესიებში მონაწილეობას იღებენ გაერო-ს წევრი-სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მინისტრების ან მინისტრის მოადგილეების დონეზე *(იხ. მუდმივი წარმომადგენლობის 15 დეკემბრის № 59474-19 წერილი).*

2019 წლის 12 მარტს, ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიის პარალელურად, ასევე ტარდება **გაერო-ს გენერალური ასამბლეის მაღალი დონის ღონისძიება თემაზე: "Women in Power"**, რომელზეც იწვევენ ქალ-პრეზიდენტებს და სხვა მაღალი თანამდებობის ქალბატონებს *(იხ. მუდმივი წარმომადგენლობის 2018 წლის 5 დეკემბრის № 57528-19, 22 დეკემბრის № 60498-19 და 2019 წლის 24 იანვრის № 3420-19 წერილები).* როგორც მოგეხსენებათ, სამწუხაროდ საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ვერ ახერხებს მონაწილოების მიღებას აღნიშნულ ღონისძიებაში. აქედან გამომდინარე გენერალური ასამბლეის მაღალი დონის ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს CSW-ს 63-ე სესიაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიის ფარგლებში (ა.წ. 11-22 მარტი), **ვგეგმავთ მაღალი დონის პარალელური ღონისძიების გამართვას, სადაც მოხდება ქართული ზღაპრების კრებულის „იყო ერთი გოგო"-ს პრეზენტაცია** *(იხ. მუდმივი წარმომადგენლობის 2018 წლის 26 ნოემბრის № 55689-19 და 15 დეკემბრის № 59474-19 წერილები).* ღონისძიებას ვატარებთ გაერო-სთან შვედეთის მუდმივ წარმომადგენლობასა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან (UN

One United Nations Plaza, 26th floor, New York, NY 10017, USA
ტელ./Tel: +1 (212) 759-1949; ფაქსი/Fax: +1 (212) 759-1832; ელ-ფოსტა/E-mail: geomission.un@mfa.gov.ge

Women) ერთად ა.წ. 11 მარტს გაერო-ს შტაბ-ბინაში, ეკოსოკის დარბაზში *(ღონისძიების საინფორმაციო დოკუმენტი და პროგრამის პროექტი იხ. დანართში).*

აღნიშნული ღონისძიება უდავოდ ხელს შეუწყობს საქართველოს დადებითი იმიჯის განმტკიცებას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამჟამად საქართველო UN Women-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრია და ამ ღონისძიებით კიდევ ერთხელ მოხდება გენდერულ საკითხებში ქვეყნის მიღწევების ხაზგასმა.

თანამედროვე ქართული ზღაპრების კრებული - „იყო ერთი გოგო“ მომზადდა გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ინიციატივით, გაერო-ს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. კრებული 12 პოპულარული ქართველი ავტორის 21 ზღაპარს აერთიანებს, სადაც ასახულია ამბები ქალბატონებზე, რომლებმაც საქართველოს ისტორიასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს. აღნიშნული ზღაპრების კრებულის პრეზენტაცია ქ. თბილისში გაიმართა 2018 წლის 15 ივნისს.

ზემოხსენებულ პარალელურ ღონისძიებას გახსნიან CSW-ს 63-ე სესიაში საქართველოსა და შვედეთის დელეგაციების ხელმძღვანელები, ასევე UN Women-ის აღმასრულებელი დირექტორი ან მისი მოადგილე. დიდი ალბათობით, აღნიშნულ ღონისძიებაში, მონაწილეობას მიიღებს და სიტყვით გამოვა გაერო-ს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტი, მარია ფერნანდა ესპინოზა გარსესი. გახსნითი ნაწილის შემდეგ, აუდიტორიას სიტყვით მიმართავს გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, ქ-ნი ერიკა კვაპილოვა, რომელიც უფრო დეტალურად ისაუბრებს ზღაპრების კრებულის გამოცემის ინიციატივასა და მის მნიშვნელობაზე. აღნიშნულ ღონისძიებაზე, ასევე იგეგმება ერთი-ერთი ზღაპრის ავტორის სპიკერად მოწვევა *(ავტორის მონაწილეობის ხარჯებს დაფარავს UN Women-ის საქართველოს ოფისი).*

ღონისძიების ფარგლებში პარტნიორებთან ერთად ვგეგმავთ მოვუწოდოთ გაერო-ს წევრ-ქვეყნებს მიბაძონ საქართველოს მაგალითს და მათაც გააკეთონ მსგავსი კრებულები ეროვნულ დონეზე.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მისია გეგმავს ზღაპრების კრებულის ინგლისურენოვანი წიგნების დარიგებას გაერო-ს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლებისა და ზემოხსენებული ღონისძიების მონაწილეებისათვის. UN Women-ის საქართველოს ოფისი მზად არის გადმოგვცეს 500 ცალი ინგლისურენოვანი წიგნი. გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ინიციატივით ზღაპრების კრებული უკვე ითარგმნა ინგლისურ ენაზე და დაწყებულია ბეჭდვის პროცესი, რომელიც დასრულდება 18 თებერვლისთვის. ქართულ მხარეს მოუწევს, პარალელური ღონისძიების შემდეგი ხარჯების დაფარვა: ზემოხსენებული წიგნების და გამოსაფენი პოსტერების ტრანსპორტირების ხარჯები; ეკოსოკის დარბაზის მომსახურების ხარჯები და პოსტერების სადგამების ქირაობა.

ასევე გაცნობებთ, რომ UN Women-ის საქართველოს ოფისმა, უკვე გადმოგვცა 150 ცალი ქართულენოვანი წიგნი, ქ. ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართულ დიასპორაში გავრცელების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია ა.წ. 11 მარტის კვირაში ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ საკონსულოსთან ერთად დაიგეგმოს **შეხვედრა ქართულ დიასპორასთან**, სადაც მოხდება ზემოხსენებული ზღაპრების კრებულის პრეზენტაცია და წიგნების გადაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისია რეკომენდაციას უწევს ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში საქართველომ მონაწილეობა მიიღოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დონეზე.

გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული საკითხი და გვაცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

დანართი: 5 გვერდი

პატივისცემით,
კახა იმნაძე

მუდმივი წარმომადგენელი